



კვირის მიმოხილვა

კვირის მიმოხილვა | საქართველო
2 ნოემბერი 2020

ეკონომიკა

ეკონომიკური ზრდა: საქსტატის წინასწარი მონაცემებით, 2020 წლის სექტემბერში ეკონომიკური აქტივობა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და რეალური მშპ წლიურად მხოლოდ 0.7%-ით შემცირდა, აგვისტოში დაფიქსირებული 5.3%-იანი კლების შემდეგ. ამასთან, სექტემბერში რეალური ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, სამთომომპოვებითი მრეწველობის, ვაჭრობის და საფინანსო საქმიანობის სექტორებში, ხოლო კლებას ჰქონდა ადგილი ეკონომიკის ყველა სხვა დანარჩენ სექტორში. ჯამურად, 2020 წლის პირველ ცხრა თვეში საქართველოს ეკონომიკა 5.0%-ით შემცირდა. რეალური მშპ-ის ყოველთვიური მაჩვენებელი იანვარიდან დღის ბრუნვების, ფისკალური და მონეტარული მონაცემების საფუძველზე.

მონეტარული პოლიტიკა: საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 28 ოქტომბრის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად, 8%-ზე დატოვა. ამასთან, წლიური ინფლაცია შემცირებას განაგრძობს, რომელმაც სექტემბერში 3.8% შეადგინა. სემ-ის არსებული პროგნოზით, წლიური ინფლაციის შემცირების ტენდენცია გაგრძელდება და ის 2021 წელს მიზნობრივ 3%-იან ინფლაციასთან ახლოს იქნება, რაზეც გავლენა სუსტ ერთობლივ მოთხოვნას ექნება. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე, გაითვალისწინა გაურკვეველობა, რომელიც ვირუსის გავრცელების დაჩქარებასა და გეოპოლიტიკური რისკების ზრდასთან არის დაკავშირებული. არსებული შეფასებით, გამკაცრებული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივი გამოსვლა და მისი ტემპი ინფლაციის მოლოდინებსა და ეკონომიკური აქტივობის დინამიკაზე იქნება დამოკიდებული. მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2020 წლის 8 დეკემბერს ჩატარდება.

საბანკო სექტორი: კომერციული ბანკების მიერ გაცემული სესხების მოცულობა 2020 წლის სექტემბერში წლიურად 11.9%-ით, ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.7%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 36.4 მლრდ ლარი შეადგინა. ვალუტების მიხედვით, ლარში გაცემულმა სესხებმა 15.5 მლრდ ლარი (+14.8% წ/წ), ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებულმა სესხებმა 20.9 მლრდ ლარი (+9.6% წ/წ, კურსის ეფექტის გამორიცხვით) შეადგინა. სექტორების მიხედვით, კორპორატიული დაკრედიტების ზრდის ტემპი, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, დაჩქარდა სექტემბერში (+1.8% თ/თ) აგვისტოს კლების (-1.4% თ/თ) შემდეგ. ასევე, დაჩქარდა საცალო სესხების ზრდის ტემპი (+1.6% თ/თ), წინა თვის 1.1%-იანი თ/თ ზრდის შემდეგ, რაც ძირითადად იპოთეკური სესხების ზრდით არის განპირობებული, რომელიც თავის მხრივ მთავრობის სუბსიდირების პროგრამას უკავშირდება. 2020 წლის სექტემბერში სესხების დოლარიზაციამ 56.9% (+2.2633 წ/წ და +0.8133 თ/თ) შეადგინა და უმოქმედო სესხები 2.3%-ს გაუტოლდა (-0.3233 წ/წ და +0.1233 თ/თ).

საბანკო სექტორში განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 2020 წლის სექტემბერში წლიურად 19.5%-ით გაიზარდა (კურსის ეფექტის გამორიცხვით, +1.8% თ/თ) და 32.8 მლრდ ლარს გაუტოლდა. ლარის დეპოზიტებმა 12.6 მლრდ (+35.7% წ/წ), ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების მოცულობამ 20.2 მლრდ ლარის ექვივალენტი (+10.3% წ/წ, კურსის ეფექტის გამორიცხვით) შეადგინა. შედეგად, სექტემბერში დეპოზიტების დოლარიზაციამ 61.6% შეადგინა (-2.2833 წ/წ და +2.0833 თ/თ).


სავალუტო ინტერვენციები: 2020 წლის 27 და 29 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონზე ლარის მერყეობის შესამცირებლად 80 მლნ აშშ დოლარი გაყიდა. ჯამურად, სემ-მა სავალუტო აუქციონებზე 649.7 მლნ აშშ დოლარი გაყიდა 2020 წლის მარტი-ოქტომბრის პერიოდში.

ეკონომიკური ინდიკატორები

	2017	2018	2019
მშპ (%-ლი ცვლილება)	4.8%	4.8%	5.1%
მშპ ერთ სულზე (ppp)	11,485	12,417	13,559
მშპ ერთ სულზე (აშშ \$)	4,359	4,722	4,763
მოსახლეობა (მლნ)	3.7	3.7	3.7
ინფლაცია, პერიოდის ბოლო	6.7%	1.5%	7.0%
მთლიანი რეზერვები (მლრდ აშშ \$)	3.0	3.3	3.5
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი (მშპ-ს %)	8.1%	6.8%	5.1%
ფისკალური დეფიციტი (მშპ-ს %)	2.7%	2.3%	2.0%
სახელმწიფო ვალი (მშპ-ს %)	39.4%	38.9%	39.8%

წყარო: ოფიციალური მონაცემები, გალტ & თაგარიძი

მშპ-ს რეალური ზრდა, %



წყარო: საქსტატი

საერთაშორისო რეიტინგები, 2019-20

- ბიზნესის კეთების სიმარტივე №7 (საუკეთესო 10-ეული)
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი №12 (ძირითადად თავისუფალი)
- გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი №74

წყარო: მსოფლიო ბანკი, Heritage Foundation და მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი

საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგი

 BB სტაბილური დასტურებული აგვისტო-2020	 Ba2 სტაბილური დასტურებული აგვისტო-2020	 BB უარყოფითი დასტურებული აგვისტო-2020
---	--	---

წყარო: სარეიტინგო სააგენტოები




ფულადი ბაზარი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბენჩმარკ ობლიგაციები: საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ 2020 წლის 27 ოქტომბერს 5-წლიანი 80 მლნ ლარის (24.8 მლნ აშშ დოლარის) ოდენობის სახაზინო ვალდებულებები გაყიდა. ამასთან, მოთხოვნა 1.6-ჯერ მაღალი იყო და საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი წინა აუქციონთან შედარებით 0.0123პ-ით შემცირდა და 8.288% შეადგინა. უახლოესი აუქციონი დაგეგმილია 2020 წლის 3 ნოემბერს, სადაც 2-წლიანი 70 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების ბენჩმარკ ობლიგაციები და 6-თვიანი 20 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახაზინო ვალდებულებები გაიყიდება.


სახაზინო ფასიანი ქაღალდები, 2020 წელი			
ვალიანობა	გამომგება წლის დასაწყისიდან მლნ ლარი	დარჩენილი გამომგება მლნ ლარი	დარჩენილი ვალდებულება*
6-თვე	310	40	180
1-წელი	560	100	690
2-წელი	700	140	1,320
5-წელი	800	160	2,008
10-წელი	150	0	1,197
სულ	2,520	440	5,395

წყარო: ფინანსთა სამინისტრო
შენიშვნა: * 2020 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით

სახაზინო ფასიანი ქაღალდების შემოსავლიანობის მრუდი




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი, წლიური ინფლაცია და ლარის გაცვლითი კურსი




წყარო: სტბ

განხორციელებული ემისია და მოთხოვნა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ბოლო აუქციონებზე, მლნ ლარი



ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსები



წყარო: სტბ
შენიშვნა: ინდექსის ზრდა ნიშნავს გაცვლითი კურსის გამყარებას, ხოლო კლება - გაცვლითი კურსის გაუფასურებას




ობლიგაციები


კორპორატიული ევროობლიგაციები: საქართველოს ბანკის ჯგუფის ევროობლიგაცია (GEBGG) დაიხურა 4.36%-იანი შემოსავლიანობით, ფასით 104.17 (-0.27% წინა კვირასთან შედარებით). საქართველოს კაპიტალის ევროობლიგაციებით (GEOCAP) ვაჭრობა დაიხურა ფასით 97.67 (+0.57% წინა კვირასთან შედარებით), 6.91%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის ევროობლიგაციებით (GEOROG) ვაჭრობა დაიხურა ფასით 101.31 (-0.25% წინა კვირასთან შედარებით), 3.97%-იანი შემოსავლიანობით. საქართველოს რკინიგზის ევროობლიგაცია (GRAIL) ივაჭრებოდა 104.15 ფასად (-0.55% წინა კვირასთან შედარებით), 5.15%-იანი შემოსავლიანობით.

საქართველოს სუვერენული ევროობლიგაცია (GEORG) დაიხურა ფასით 101.95 (-0.04% წინა კვირასთან შედარებით), 2.42%-იანი შემოსავლიანობით.



წყარო: Bloomberg



წყარო: Bloomberg

ქართული ობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody/Scope)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	101.95	2.42	218.73
GRAIL 07/22	US\$	500	7.750%	Jul-22	BB-/B+/-	104.15	5.15	491.66
GEOROG 04/21	US\$	250	6.750%	Apr-21	BB/BB/-	101.31	3.97	374.74
GEBGG 07/23	US\$	350	6.000%	Jul-23	BB-/Ba2	104.17	4.36	409.39
GEBGG 11 1/8 PERP	US\$	100	11.125%	n/a	B-/-	102.62	9.47	992.13
GEOCAP 03/24	US\$	300	6.125%	Mar-24	-/B/B2	97.67	6.91	661.23
SILKNET 04/24	US\$	200	11.000%	Apr-24	B+/-/B1	107.23	8.51	820.88
TBC 06/24	US\$	300	5.750%	Jun-24	BB-/Ba2	101.45	5.30	498.38
TBC PERP	US\$	125	10.775%	n/a	B-/-	99.21	9.98	1,069.08
GGU 07/25	US\$	250	7.750%	Jul-25	-/B/-	100.86	7.53	715.17

ადგილობრივი ობლიგაციები								
გამომწვები	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
GWP 12/21	GEL	30	12.50%	Dec-21	BB-/-/-	n/a	n/a	n/a
M2CA 12/21	US\$	30	7.50%	Dec-21	-/-/-	100.55	7.00	n/a
M2RE 10/22	US\$	35	7.50%	Oct-22	-/-/-	100.89	7.00	n/a
GLC 06/21	US\$	5	6.50%	Jun-21	B+/-/-	n/a	n/a	n/a
GLC 08/21	US\$	10	7.50%	Aug-21	B+/-/-	99.98	7.50	n/a
GLC 08/22	US\$	10	7.50%	Aug-22	-/-/-	n/a	n/a	n/a
CRYSTAL 02/21	GEL	15	13.00%	Feb-21	B/-/-	100.00	12.00	n/a
Nikora Trade 08/21	GEL	25	9.00%	Aug-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
SILKNET 04/24	GEL	34	12.50%	Apr-24	B+/-/B1/-	n/a	n/a	n/a
Geo. Beer Company	GEL	25	13.00%	Dec-23	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Lisi Lake Development	US\$	12	8.00%	Dec-21	-/-/B+	n/a	n/a	n/a
Tegeta 04/22	GEL	30	10.75%	Apr-22	-/-/BB-	n/a	n/a	n/a
Swiss Capital 09/21	GEL	10	13.25%	Sep-21	B-/-/-	100.00	14.25	n/a
EVEX 11/24	GEL	50	12.10%	Nov-24	-/-/BB	n/a	n/a	n/a

წყარო: Bloomberg



ობლიგაციები

აღმოსავლეთ ევროპის 10-წლიანი სუვერენული ევროობლიგაციების ძირითადი მონაცემები

გამომწვევი	ვალუტა	მოცულობა, მლნ აშშ \$	კუპონი	დაფარვის თარიღი	რეიტინგები (Fitch/S&P/Moody)	საშუალო ფასი	საშუალო პროცენტი, %	Z-spread, bps
Georgia	US\$	500	6.875%	Apr-21	BB/BB/Ba2	101.95	2.42	218.73
Azerbaijan	US\$	174	2.820%	Sep-21	BB+/-/Ba2	100.84	1.79	157.55
Belarus	US\$	800	6.875%	Feb-23	B/B/B3	99.11	7.29	704.37
Kazakhstan	US\$	1,500	3.875%	Oct-24	BBB/BBB-/Baa3	109.78	1.32	98.01
Russia	US\$	3,000	4.875%	Sep-23	BBB/BBB-/Baa3	109.69	1.42	114.29
Turkey	US\$	2,000	5.625%	Mar-21	BB-/B1	100.50	4.37	414.46
Ukraine	US\$	1,409	7.750%	Sep-21	B/B/Caa1	103.20	3.78	356.27

წყარო: Bloomberg





აქციები

საქართველოს ბანკის ჯგუფის (BGEO LN) აქციები დაიხურა 8.89 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -3.37% წინა კვირასთან შედარებით და -0.45% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 237 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 8.53 – 9.30 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 39 ათასი აქცია შეადგინა.

Georgia Capital-ის (CGEO LN) აქციები დაიხურა 3.70 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.97% წინა კვირასთან შედარებით და +1.23% გასულ თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 176 ათას აქციაზე მეტი შეადგინა, GBP 3.65 – 3.96 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 37 ათასი აქცია შეადგინა.

თიბისი ბანკის ჯგუფის (TBCG LN) აქციები დაიხურა 9.13 ბრიტანულ ფუნტ სტერლინგში (GBP), -5.49% წინა კვირასთან შედარებით და -9.96% წინა თვესთან შედარებით. ვაჭრობის მოცულობამ 214 ათასს გადააჭარბა, GBP 8.90 – 9.76 დიაპაზონში. ბოლო 4 კვირის განმავლობაში, საშუალო დღიური ვაჭრობის მოცულობამ 47 ათასი აქცია შეადგინა.





აქციები

აღმოსავლეთ ევროპის ბანკები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Bank of Georgia	BGEO	GBP	8.89	437	-10.7%	-30.8%	-45.3%	7.43x	3.92x	0.74x	0.62x
TBC	TBC	GBP	9.13	502	11.5%	-29.4%	-29.8%	7.01x	4.32x	0.74x	0.63x
Halyk Bank	HSBK	US\$	9.92	2,915	10.2%	-24.6%	-25.7%	4.38x	3.78x	0.82x	0.75x
VTB Bank	VTBR	US\$	0.78	5,045	-17.5%	-42.5%	-46.8%	4.94x	3.20x	0.31x	0.29x
Akbank	AKBNK	TRY	4.77	24,804	-19.0%	-31.2%	-41.2%	6.20x	4.55x	0.64x	0.56x
Garanti	GARAN	TRY	6.60	27,720	-20.9%	-28.5%	-40.8%	6.00x	4.45x	0.70x	0.59x
Isbank	ISCTR	TRY	5.11	22,995	3.2%	-12.8%	-20.3%	5.83x	4.37x	0.54x	0.48x
PKO	PKO	PLN	18.92	23,650	-14.0%	-51.3%	-45.1%	9.12x	8.56x	0.55x	0.53x
PEKAO	PEO	PLN	42.28	11,097	-18.7%	-61.6%	-57.9%	10.63x	8.11x	0.47x	0.45x
Millennium	MIL	PLN	2.15	2,610	-23.5%	-65.5%	-63.2%	11.03x	6.92x	0.30x	0.30x
Mbank	MBK	PLN	115.00	4,869	-47.5%	-69.6%	-70.5%	14.96x	7.39x	0.30x	0.30x
BRD	BRD	RON	11.38	7,931	0.7%	-20.3%	-28.2%	10.73x	10.43x	0.89x	0.94x
Banca Transilvania	TLV	RON	1.89	9,869	9.4%	-14.7%	-19.8%	11.50x	9.95x	1.34x	1.30x
OTP	OTPD	USD	22.80	12,768	0.0%	7.5%	7.5%	14.40x	12.94x	0.76x	0.72x
Komercni	KOMB	CZK	474.00	90,083	-9.5%	-40.0%	-42.9%	12.29x	10.06x	0.82x	0.79x
საშუალო								9.10x	6.86x	0.66x	0.62x
მედიანა								9.12x	6.92x	0.70x	0.59x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ

ინვესტიციების მართვის შესადარი კომპანიები

	ტიკერი	ვალუტა	აქციის ფასი	კაპიტალიზ. მლნ აშშ \$	6 თვე ცვლ.	წ/წ ცვლ.	წლის დას. ცვლ.	P/E		P/B	
								2020F	2021F	2020F	2021F
Georgia Capital	CGEO	GBP	3.70	136	-11.9%	-62.2%	-59.9%	n/a	n/a	n/a	n/a
Tinc Comm	TINC	EUR	12.65	345	-2.7%	-4.7%	-5.2%	n/a	n/a	n/a	n/a
Sabancı Holding	SAHOL	TRY	8.23	16,793	0.6%	-2.1%	-13.7%	5.57x	4.95x	0.69x	0.58x
Deutsche Beteiligungs	DBAN	EUR	27.55	414	-10.8%	-25.2%	-30.2%	nmf	9.79x	0.90x	0.87x
Eurazeo	RF	EUR	38.54	3,036	-11.7%	-38.0%	-36.8%	22.58x	6.16x	0.55x	0.51x
Carlyle Group	CG	USD	24.90	2,756	6.2%	-9.5%	-22.4%	4.27x	3.69x	3.42x	3.72x
საშუალო								10.81x	6.15x	1.39x	1.42x
მედიანა								5.57x	5.56x	0.80x	0.72x

წყარო: Bloomberg, S&P Capital IQ



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სხვა ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩნიათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთი ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტში) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეხარად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩეველების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კუთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩეველები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მედიით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

გალტ ენდ თაგარტი
მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102, საქართველო
ტელ: + (995) 32 2401 111
ელ. ფოსტა: gt@gt.ge